



შპს „საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი, გვარი-----

თარიღი-----

VII კლასი

დავალება I (10 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული იგავი და უპასუხეთ კითხვებს:

პეპლის გაკვეთილი

ერთხელ ჭიის პარკზე პატარა ნაპრალი გაჩნდა, შემთხვევით ახლოს გამვლელი კაცი დიდხანს აკვირდებოდა, როგორ ცდილობდა პეპელა ამ პატარა ხვრელიდან გამოძრომას. დრო გადიოდა, პეპელა თითქოს დაიღალა და აღარც კი იბრძოდა, ქვეყანას მოვლენოდა, ნაპრალი კი ისევ ისეთი პატარა რჩებოდა. კაცი ფიქრობდა, რომ პეპელამ გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო. დანარჩენი მის ძალებს აღემატებოდა. ამიტომ გადაწყვიტა, უმწეო არსებას დახმარებოდა, ჯიბიდან პატარა დანა ამოიღო და ჭიის პარკი გაჭრა. პეპელა მაშინვე გამოძვრა იქედან, მაგრამ მისი სხეული ძალიან სუსტი იყო, გამჭვირვალე ფრთები ძლივს მოძრაობდა. კაცი კვლავ აკვირდებოდა, ფიქრობდა, პეპელას ფრთები გაუმაგრდება და გაფრინდებაო, მაგრამ ამაოდ - არაფერიც არ მოხდა.

პეპელა საცოდავად მიათრევდა უძლურ სხეულს და სუსტ ფრთებს. მან ისე გალია თავისი წილი წუთისოფელი, რომ ვერც კი შეიგრძნო გაფრენის ნეტარება.

ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ კაცმა, რომელიც პეპელას დაეხმარა, არ იცოდა, რომ ის ძალისხმევა, რაც პეპელას ჭიის პარკიდან გამოსაძვრომად სჭირდება, აუცილებელია იმისთვის, რომ სხეულიდან სითხე ფრთებში გადავიდეს და შემდეგ მან ფრენა შეძლოს. ცხოვრება აიძულებს პეპელას, ძნელად დატოვოს პარკუჭი, რათა გაიზარდოს და განვითარდეს.

ძალიან ხშირად დიდი ძალისხმევა გვჭირდება იმისთვის, რომ ღირსეულად ვიცხოვროთ. ჩვენთვის სიმძნელების გარეშე ცხოვრება რომ ყოფილიყო შესაძლებელი, არასოდეს ვიქნებოდით ისეთი ძლიერნი, ისეთი გამბედავნი, როგორებიც ახლა ვართ. ჩვენ ვერასოდეს შევძლებდით ფრენას.

(1) 1. რის შემდეგ გადაწყვიტა გამვლელმა, დახმარებოდა პეპელას?



(1) 2. რით დამთავრდა კაცის მცდელობა?

(1) 3. რატომ ვერ შეძლო პეპელამ ფრენა?

(2) 4. თქვენი აზრით, სწორად მოიქცა გამვლელი, როცა ის პეპელას დაეხმარა?
შეაფასეთ მისი საქციელი

(2) 5. განმარტეთ, რა არის იგავის სათქმელი?

(3) 6. ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება იგავის მთავარი სათქმელის მიმართ?



დავალება II (10 ქულა)

იპოვეთ და გაასწორეთ წინადადებებში დაშვებული შეცდომები:

1. ულამაზესი პეპელის დანახვამ გოგონა ძალიან გაამხიარულა; _____
2. გიორგის დიდათ არ აინტერესებდა ახალი ამბავი;

3. ნუგზარის მეგობრები ესტუმრნენ;

4. შენს მიერ დაშვებულმა შეცდომამ ყველაფერი შეცვალა ;

5. როდესაც შენ მეგობარს ვნახავ, ყველაფერს ვუამბობ;

6. გოგონა დიდხანს კრეფდა მინდორის ყვავილებს;

7. კლასში ყველაზე ულამაზეს გოგონას სალომე ერქვა;

8. დავით აღმაშენებელი გიორგი მე-II-ის შვილი იყო;

9. ნინო 10-ე კლასში სწავლობს;

10. მის სკოლაში ათას სამასოცდახუთი ბავშვი სწავლობს;

დავალება III (5 ქულა)

ბაზგასმული სიტყვები შეცვალეთ სინონიმებით და წინადადებები ისე გადაწერეთ:

1. დაუძღურებული კაცი მოწინააღმდეგემ ადვილად დაამარცხა;

2. დამწუხრებული გოგონა ნელი ნაბიჯით გაუდგა შინისაკენ მიმავალ გზას;

3. ზარმაცი კაცი ვერასოდეს მიაღწევს მიზანს;

4. მშობლებს ბეჯითი შვილი პრობლემას არ უქმნის ;



5. სანდრო უმიზეზოდ გაუჯავრდა თავის დას ;

დავალება IV (5 ქულა)

ხაზგასმული გამოთქმები შეცვალეთ ჩვეულებრივი სიტყვებით და ისე გადაწერეთ:

1. პატარას, რომელიც მშობლებს ჩამოშორდა, გზა აებნა;

2. გიორგის ახალგაზრდა ქალი თვალში მოუვიდა;

3. პატარა სანდრომ უფროსი ძმა დაინახა და გული მიეცა;

4. მეგობარს, რომელსაც დახმარება სჭირდებოდა, ყველა მხარში ამოუდგა ;

4. ყველა მაშინვე მივხვდით, რომ ჩვენს ახალ ნაცნობს თავი მაღლა ეჭირა;
